მსოფლიო პრაქტიკა

სიახლეები

შვედეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემების დამუშავების შესახებ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება პერსონალური მონაცემების განუსაზღვრელი ვადით შენახვისა და გამჟღავნების შესახებ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ("ECtHR") გადაწყვეტილება პაციენტის თანხმობის შესახებ

2025 წლის 26 ივნისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ("ECtHR") საქმეზე "S.O. v. Spain"[1] პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მომჩივანს მისი ინფორმირებული თანხმობის გარეშე ჩაუტარდა სამედიცინო მანიპულაცია, შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის" (შემდგომ - კონვენცია) მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევაზე იმსჯელა.

აგვისტო 2025

- საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

მომჩივანი სარძევე ჯირკვლის სიმსივნის დიაგნოზით მკურნალობდა მადრიდის ერთ-ერთ კლინიკაში, სადაც მან წერილობითი თანხმობა განაცხადა ქირურგიული ოპერაციის ჩატარების თაობაზე სარძევე ჯირკვლის შენარჩუნების მიზნით (“Breast-Conserving Surgery”). ხელმოწერილი ფორმა ითვალისწინებდა ოპერაციასთან დაკავშირებულ პროცედურებსა და შესაძლო რისკებს. გარდა ამისა, დოკუმენტში მოცემული იყო დათქმა, რომლის თანახმად, გაუთვალისწინებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, ქირურგს ჰქონდა უფლება, შეეცვალა ოპერაციის თავდაპირველად არჩეული ქირურგიული ტექნიკა.

2017 წლის 2 თებერვალს მომჩივანს ჩაუტარდა ქირურგიული ოპერაცია, რომლის დროსაც აღმოჩნდა, რომ სიმსივნე მკერდის არეოლასთან ახლო სხვა ტერიტორიაზეც იყო გავრცელებული, აქედან გამომდინარე, პაციენტს დამატებით ამოკვეთეს დვრილ-არეოლას კომპლექსი (“NAC“). ონკოლოგიურ ქირურგიაში სიმსივნის სრული მოცილება პრიორიტეტულია, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მკერდის რეკონსტრუქცია შესაძლებელი იქნებოდა პლასტიკური ოპერაციით, თუმცა შემდგომი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ამოკვეთილი არეალი სიმსივნით არ იყო დაზიანებული.

2017 წლის 13 სექტემბერს მომჩივანმა საჩივარი შეიტანა ადმინისტრაციულ ორგანოში (მადრიდის ჯანდაცვის დეპარტამენტი). იგი მიუთითებდა, რომ მას ოპერაცია სიმსივნისგან დაუზიანებელ ნაწილზეც გაუკეთდა, ასევე, აღნიშნავდა, რომ მან ინფორმირებული თანხმობა მხოლოდ მკერდის შემანარჩუნებელ ოპერაციასა და ლიმფური კვანძების ამოღებაზე გასცა.

მიუხედავად იმისა, რომ მოკვეთილი მკერდის ნაწილი სიმსივნით დაზიანებული არ იყო, ესპანეთის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და სხვადასხვა ინსტანციის სასამართლომ მიიჩნიეს, რომ ოპერაცია სამედიცინო თვალსაზრისით გამართლებული იყო, ხოლო თანხმობის ფორმა აკმაყოფილებდა სამართლებრივ მოთხოვნებს.

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასება:

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო სამედიცინო მანიპულაცია ქალის პიროვნების მნიშვნელოვან ასპექტებს, მათ შორის, ფიზიკურ და ფსიქიკურ კეთილდღეობას, იმიჯს, თვითშეფასებას, სქესობრივ ცხოვრებას, ეხებოდა, რომლებიც კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი სფეროს მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენს. შესაბამისად, სასამართლომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის მართლზომიერების შესახებ იმსჯელა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მკერდის შემანარჩუნებელი ოპერაციის ხასიათის, მიზნის, მასთან დაკავშირებული ზოგადი რისკებისა და შედეგების გათვალისწინებით, ექიმები ვალდებული იყვნენ წინასწარ ეცნობებინათ პაციენტისთვის დვრილ-არეოლას კომპლექსის ამოკვეთის შესახებ, აქედან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხზე აუცილებელი იყო წინასწარი თანხმობის მიღება. ამასთან, კლინიკის თანხმობის ფორმა არ იძლეოდა მკაფიო ინფორმაციას განხორციელებული ჩარევის შესახებ. სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მომჩივნის უფლებების სათანადო დაცვა ინფორმირებული თანხმობის გაცემის კონტექსტში.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე “S.O. v. Spain” დაადგინა კონვენციის მერვე მუხლის დარღვევა.

შვედეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემების დამუშავების შესახებ

შვედეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ქალაქ სტოკჰოლმში მოქმედი საზოგადოებრივი სატრანსპორტო კომპანიების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების თაობაზე გადაწყვეტილება გამოაქვეყნა. საზედამხედველო ორგანომ გემების კაპიტნების ალკოტესტირების პრაქტიკა შეაფასა.

საკითხის შესწავლის საფუძველი სატრანსპორტო კომპანიის ორი თანამშრომლის მიერ საზედამხედველო ორგანოსთვის მიმართვა გახდა. მათი განცხადებით, გემების კაპიტნები სისტემატურად, თითოეული სამუშაო ცვლის დაწყებამდე და ცვლის დასრულებისას გადიოდნენ ალკოტესტირებას. აღნიშნულ ინფორმაციას დამსაქმებლები რამდენიმე თვის განმავლობაში ინახავდნენ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საზედამხედველო ორგანომ, ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) შესაბამისად, დასაქმებული პირების პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება შეაფასა.

საზედამხედველო ორგანოს ძირითადი მიგნებები
საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სატრანსპორტო კომპანიების მიერ ალკოტესტირების განხორციელების პრაქტიკა, მისი მასშტაბურობისა და მზღუდავი ხასიათის გათვალისწინებით, არ იყო მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის (მგზავრთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა) პროპორციული. ამავდროულად, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს პერსონალური ინფორმაციის დროულად წაშლის სისტემა დანერგილი არ ჰქონდათ, რის გამოც, მიუხედავად საფუძვლის არარსებობისა, მონაცემები თვეების განმავლობაში ინახებოდა.

საზედამხედველო ორგანომ აღნიშნა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება უნდა შეესაბამებოდეს ძირითადი რეგულაციის მოთხოვნებს და, ამავდროულად, არ უნდა ზღუდავდეს მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. აგრეთვე, ალკოტესტირების შედეგით შეიძლება, გამოვლინდეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რაც, ძირითადი რეგულაციის მე-4(15) მუხლის შესაბამისად, ექცევა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების ფარგლებში. ამდენად, აღნიშნული კატეგორიის მონაცემები გაძლიერებულ დაცვას საჭიროებს.

საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

საზედამხედველო ორგანოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლები გემების კაპიტნების სისტემატურ ალკოტესტირებას მგზავრთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ახორციელებდნენ, მონაცემთა დამუშავების პრაქტიკა ძირითადი რეგულაციის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა. მოცემულ შემთხვევაში, გამართლებული იქნებოდა შემთხვევითობის პრინციპით განხორციელებულიყო ალკოტესტირება, რომლითაც მონაცემთა სუბიექტის უფლებები ნაკლებად შეილახებოდა.

საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილებით, სატრანსპორტო კომპანიებმა დაარღვიეს:

- ძირითადი რეგულაციის მე-6 მუხლი, რადგან განმცხადებელთა პერსონალური მონაცემები შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მუშავდებოდა;
- ძირითადი რეგულაციის მე-9 მუხლი განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების გამო, მიუხედავად ამგვარი მონაცემების დამუშავების აკრძალვასთან დაკავშირებული გამონაკლისის არარსებობისა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სატრანსპორტო კომპანიებს დაეკისრათ ადმინისტრაციული ჯარიმა 6 250 ევროს ოდენობით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება პერსონალური მონაცემების განუსაზღვრელი ვადით შენახვისა და გამჟღავნების შესახებ

2025 წლის 24 აპრილს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე სიატნიკი უკრაინის წინააღმდეგ (საჩივარი № 16497/20)[1] გამოაქვეყნა გადაწყვეტილება და დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 („საქმის სამართლიანი განხილვის უფლება“), მე-8 („პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება“) და მე-18 („უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები“) მუხლების დარღვევა. საჩივარი ეხებოდა მაღალი რანგის საჯარო მოხელის მიმართ წარმოებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგ მისი პერსონალური მონაცემების განუსაზღვრელი ვადით გამოქვეყნებას კორუფციაში მხილებულ საჯარო მოხელეთა რეესტრში.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

მომჩივანი, უკრაინის მოქალაქე არტემ სიატნიკი, 2015 წელს დაინიშნა უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს (“NABU”) დირექტორად.

2019 წელს მას დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სამართალდარღვევისთვის, რომელიც დაკავშირებული იყო საჯარო მოხელის მიერ კანონით აკრძალული საჩუქრის მიღებასთან. მას ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 3 400 გრივნის ოდენობით და მიღებული „საჩუქრის“ - სამართალდარღვევის საგნის - კონფისკაცია.

მომჩივანმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და მიუთითა როგორც არსებით, ისე პროცედურულ დარღვევებზე, მათ შორის, მოსამართლის მიუკერძოებლობის საკითხზე. 2019 წლის 13 დეკემბერს სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

„კორუფციის პრევენციის შესახებ“ უკრაინის კანონის 59-ე მუხლის თანახმად, იმ პირთა პერსონალური მონაცემები, რომელთაც დაეკისრებოდათ სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციული, დისციპლინური ან სამოქალაქო პასუხისმგებლობა კორუფციასთან დაკავშირებული სამართალდარღვევისთვის, აღირიცხებოდა სპეციალურ რეესტრში. რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესს არეგულირებდა უკრაინის კორუფციის პრევენციის

ეროვნული სააგენტო (“NACP”). რეესტრში აღირიცხებოდა პირთა შემდეგი პერსონალური მონაცემები: სახელი, გვარი და მამის სახელი; სამუშაო ადგილი და სამართალდარღვევის ჩადენის დროს დაკავებული თანამდებობა (ამ მონაცემებზე საჯარო წვდომა 2023 წლიდან შეიზღუდა); სამართალდარღვევის არსი და დაკისრებული სანქცია. რეესტრში ინფორმაცია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყო მუდმივად და ყოველგვარი გადასახადის გარეშე.

ზემოაღნიშნული კანონმდებლობის საფუძველზე, მომჩივნის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დასრულების შემდეგ, მისი პერსონალური მონაცემები განთავსდა რეესტრში განუსაზღვრელი ვადით.

მომჩივნის მოთხოვნა
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით, მომჩივანი დავობდა მისი პერსონალური მონაცემების განუსაზღვრელი ვადით გამჟღავნებაზე.

მომჩივნის განმარტებით, პერსონალური მონაცემების გამჟღავნება მოხდა გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მიღებული იყო სამართლიანი სასამართლო პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევით. ამასთან, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მონაცემთა გამჟღავნება იყო არაპროპორციული, ვინაიდან:

- მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა პირის პერსონალური მონაცემების რეესტრში გამოქვეყნებას ჩადენილი სამართალდარღვევის სიმძიმის მიუხედავად;
- მონაცემთა შენახვა და გამჟღავნება ხდებოდა განუსაზღვრელი ვადით და არ არსებობდა პერიოდული გადახედვისა და წაშლის მექანიზმი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასება

- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა

სასამართლომ დაადგინა, რომ რეესტრში ისეთი მონაცემების გამოქვეყნება, რომელიც შესაძლებელს ხდიდა პირის იდენტიფიცირებას, წარმოადგენდა ჩარევას კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში. სასამართლომ მხედველობაში მიიღო რეესტრში გამოქვეყნებული მონაცემების ხასიათი, მათ გამჟღავნებასთან დაკავშირებული სტიგმატიზაციის რისკი და რეესტრის მუდმივი საჯარო ხელმისაწვდომობა.

შესაბამისად, სასამართლომ იმსჯელა, იყო თუ არა ჩარევა გამართლებული, კერძოდ:

1. მოხდა თუ არა ჩარევა კანონის შესაბამისად;
2. ემსახურებოდა თუ არა ლეგიტიმურ მიზნებს; და
3. იყო თუ არა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

- ჩარევის კანონშესაბამისობა და ლეგიტიმური მიზნები

სტრასბურგის სასამართლომ გაიზიარა უკრაინის მთავრობის არგუმენტები ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებთან დაკავშირებით და დაადგინა, რომ რეესტრში მონაცემთა გამოქვეყნება გათვალისწინებული იყო „კორუფციის პრევენციის შესახებ“ უკრაინის კანონის 59-ე მუხლით და ემსახურებოდა საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციის ლეგიტიმურ მიზანს.

- ჩარევის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში

კონვენციის მე-8 მუხლი ადგენს, რომ ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში - შესაბამისად, მას უნდა განაპირობებდეს მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება (“pressing social need”). კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევის მართლზომიერება ფასდება აუცილებლობისა და თანაზომიერების პრინციპების საფუძველზე: სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლების შეზღუდვა უნდა იყოს როგორც მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით ნაკარნახევი, ასევე ამ საჭიროების პროპორციული.

სასამართლომ უპირველესად აღნიშნა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში უკვე დაადგინა მომჩივნის მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას პროცედურული გარანტიების დარღვევა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას არ ჰქონდა „რელევანტური და საკმარისი“ სამართლებრივი საფუძველი.

რაც შეეხება სადავო ღონისძიების პროპორციულობას, სასამართლომ აღნიშნა, რომ უკრაინის კანონმდებლობის თანახმად, რომელიც არეგულირებდა კორუფციაში მხილებულ პირთა აღრიცხვას სახელმწიფო რეესტრში, პირის მონაცემების გამჟღავნებას ჰქონდა მუდმივი ხასიათი.

კერძოდ, “NACP”-ის მიერ მიღებული შიდა ინსტიტუციური რეგულაციით, რეესტრში არსებული მონაცემები ინახებოდა მუდმივად და იშლებოდა მხოლოდ ვიწროდ განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული საფუძვლები კი იყო შემდეგი:

- სასამართლოს გადაწყვეტილება გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმების შესახებ;
- გამამართლებელი განაჩენი;
- გასაჩივრების ვადის განახლება;
- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმება;
- დისციპლინური პასუხისმგებლობის გაუქმება;
- პირის მონაწილეობა უკრაინის თავდაცვით ღონისძიებებში 2022 წლის 24 თებერვლიდან.

მომჩივნის შემთხვევაში, ხუთ წელზე მეტი იყო გასული მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში მისი პერსონალური მონაცემები გამოქვეყნებული რჩებოდა რეესტრში, რის გამოც მომჩივანი ფაქტობრივად მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეცვა საკუთარი მორალური და პროფესიული რეპუტაცია. გარდა ამისა, მოქმედი რეგულაციების მიხედვით, ეს მდგომარეობა განუსაზღვრელი ვადით გაგრძელდებოდა.

სასამართლოს შეფასებით, ასეთ გარემოებებში პირის პერსონალური მონაცემების გამჟღავნება ვერ მიიჩნევა ლეგიტიმური მიზნების მიღწევის პროპორციულ საშუალებად.

გადაწყვეტილება

ზემოაღნიშნული შეფასების საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

საგულისხმოა, რომ წინამდებარე საქმეში სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის სხვა მუხლების დარღვევა:

- მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა: სასამართლომ დაადგინა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს პროცესის სამართლიანობა.
- მე-18 მუხლის დარღვევა მე-6 და მე-8 მუხლებთან მიმართებით: სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე და მისი პერსონალური მონაცემების საჯარო გამჟღავნება ემსახურებოდა არა მხოლოდ ოფიციალურად გაცხადებულ ლეგიტიმურ მიზანს - კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას - არამედ ნაკარნახევი იყო პოლიტიკური ანგარიშსწორების მოტივით.

სტრასბურგის სასამართლოს განხილული გადაწყვეტილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში. სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ პერსონალური მონაცემების საჯარო გამჟღავნება, თუნდაც ლეგიტიმური მიზნის მიღწევის მიზნით, უნდა ეფუძნებოდეს მკაფიო სამართლებრივ საფუძველს, იყოს პროპორციული და შეზღუდული გონივრული ვადით.

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge